არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“-ს წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (შემდგომში მუზეუმი) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის მიზანსაც არ წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობა. იგი იურიდიული პირის სტატუსს იძენს მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წესდებით გათვალისწინებული მიზნების შესრულებისას მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

2. მუზეუმი თავისი მნიშვნელობის, სამოღვაწეო არეალის და საქმიანობის მიმართულებით განეკუთვნება ადგილობრივი მუზეუმების კატეგორიას და მოიცავს ქ. ამბროლაურში მდებარე სახვითი ხელოვნების მუზეუმს - ტიპი ხელოვნების მუზეუმი და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აბარში მდებარე ალიოშა ჯაფარიძის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს - ტიპი ისტორიული.

3. მუზეუმს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, განკერძოებული ქონება, საანგარიშსწორებო ანგარიში საბანკო დაწესებულებაში და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

4. მუზეუმი უფლებამოსილია ამ წესდების შესაბამისად, გაერთიანდეს საზოგადოებრივ გაერთიანებაში, განახორციელოს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა რომლიდანაც მიღებული ქონება უნდა მოხმარდეს გაერთიანების მიზნების რეალიზაციას.

5. მუზეუმი დამოუკიდებელია თავისის დამფუძნებლის, ასევე ხელმძღვანელებისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების მდგომარეობისაგან და პასუხს არ აგებს მათი ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე როგორც ისინი არ აგებენ პასუხს მუზეუმის ვალდებულებაზე.

6. მუზეუმს საკუთრებაში აქვს განკერძოებული ქონება, რომელსაც მართავს და იყენებს დანიშნულებისამებრ, თავისი მიზნების მისაღწევად. მუზეუმს უფლება აქვს იყოს მხარე გარიგებაში, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები.

7. მუზეუმი საკუთარი სახელით ახორციელებს თავისუფლებებსა და მოვალეობებს, ამყარებს საქმიან კონტაქტებს როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დებს გარიგებას, საკუთარი სახელით შეუძლია გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.

8. მუზეუმის დამფუძნებელია ამბროლაურის მუნიციპალიტეტი (ს/კ222938490) იურიდიული მისამართი: ქ.ამბროლაური ბრატისლავა-რაჭის N11.

9. მუზეუმის იურიდიული მისამართია: ქ.ამბროლაური მ.კოსტავას ქუჩა N36.

10.მუზეუმის ელექტრონული ფოსტა: artmuzeumi090@gmail.com. ტელეფონი 551 70 15 02

11.მუზეუმი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2. მუზეუმის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. სამუზეუმო მასალის ექსპონირება და პოპულარიზაცია.

2. სხვადასხვა სახეობის ფონდების სისტემური შევსება, კოლექციებისა და ცალკეული საგნების სახელმწიფო დაწესებულებისგან, საზოგადოებრივი ორგანიზაციისგან მიღება, აგრეთვე კერძო პირებისაგან შესყიდვით და შემოწირულობის სახით.

3.უზრუნველყოს სამუზეუმო ნივთების სათანადო რეჟიმით დაცვა, კონკრეტული მუზეუმის ფონდის სხვა მუზეუმში გადატანის დაუშვებლობა.

4.იზრუნოს კოლექციების კონსერვაციასა და რესტავრაციაზე.

5.აწარმოოს ფონდებში დაცული მასალების დამუშავება და ამის საფუძველზე გამოსაცემად მოამზადოს კატალოგები და ბუკლეტები.

6.ჩაატაროს მიმოხილვითი, თემატური, კომპლექსური ექსკურსიები.

7.უზრუნველყოს მუზეუმის ტერიტორიაზე ექსკურსიების მოწყობა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის და ჯგუფებისთვის.

მუხლი 3. მუზეუმის უფლება-მოვალეობანი

1. დროებით სარგებლობაში არსებული სამუზეუმო ექსპონატების კატალოგში შეტანის ან სხვა სახის პუბლიკაციისას მოითხოვოს მესაკუთრის ვინაობის მითითება;

2. მოითხოვოს დროებით სარგებლობაში არსებული სამუზეუმო ექსპონატის რესტავრაცია სახელმწიფო სარესტავრაციო დაწესებულების მიერ, სათანადო ანაზღაურებით;

3. საჭიროების შემთხვევაში დროებით სარგებლობაში არსებული ექსპონატი შესანახად გადასცეს სახელმწიფო მუზეუმს სათანადო დოკუმენტაციის გაფორმებით;

4. მოითხოვოს დროებით სარგებლობაში არსებული, სახელმწიფო რეესტრში შეტანილი სამუზეუმო ექსპონატის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობა;

5. გაწევრიანდეს საერთაშორისო სამუზეუმო ორგანიზაციაში, ითანამშრომლოს უცხო ქვეყნის მუზეუმებთან და მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამუზეუმო პროგრამაში;

6. უზრუნველყოს დროებით სარგებლობაში არსებული სამუზეუმო ექსპონატების ყოველმხრივი დაცვა და სამუზეუმო ექსპონატებთან სამუზეუმო საქმის სპეციალისტების დაშვება ექსპონატების მდგომარეობის შემოწმების მიზნით;

7. სახელმწიფო რეესტრში შესატანად წარადგინოს სრული ინფორმაცია სამუზეუმო ექსპონატების შესახებ;

8. უზრუნველყოს სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება;

9. სამუზეუმო ექსპოზიციების და მუზეუმის ფონდის ბაზაზე უზრუნველყოს სამეცნიერო საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება

10. სამუზეუმო გაერთიანების ფონდში შეტანილი ექსპონატის გადაცემისას ან რაიმე სხვა ფორმით გასხვისებისას ექსპონატის მიმღები კისრულობს მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ ყველა ვალდებულებას, რომელიც ჰქონდა ექსპონატის მესაკუთრეს.

მუხლი 4. მუზეუმის სტრუქტურა და მართვა

1. მუზეუმი შედგება ქალაქ ამბროლაურში მდებარე სახვითი ხელოვნებისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აბარში მდებარე ალიოშა ჯაფარიძის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისგან.

2. მუზეუმის საქმიანობას წარმართავს ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი.

3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, მუზეუმის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მუზეუმის ხელმძღვანელი.

4. მუზეუმის ხელმძღვანელი:

ა) წარმართავს და ორგანიზებას უწევს მუზეუმის საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

ბ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს მუზეუმის ბიუჯეტს, საშტატო განრიგს და სტრუქტურას;

გ) „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ დადგენილი წესით მუზეუმის თანამშრომლებთან აფორმებს და წყვეტს შრომით ხელშეკრულებებს, იღებს გადაწყვეტილებებს მუზეუმის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

დ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით გამოსცემს ბრძანებას დირექტორის შვებულებისა და მივლინების შესახებ;

ე) მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით უფლებამოსილია შეიძინოს მუზეუმის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება;

ვ) დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ზ) ამბროლაურის მერთან შეთანხმებით ადგენს მუზეუმის ვიზიტორებისთვის ბილეთის საფასურს;

თ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით;

ი) ახორციელებს მუზეუმის ფინანსური რესურსების მართვას და პასუხს აგებს მათ სწორად გამოყენებაზე;

კ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს მუზეუმს ყველა ორგანიზაციაში, დაწესებულებასადა საწარმოში თავის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებში, გასცემს მინდობილობებს;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს (ბრძანებებს), განსაზღვრავს მუზეუმის შინაგანაწესს და ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს;

მ) მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს წინადადებას მუზეუმის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ;

ნ) წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული კანონით.

ო) ამტკიცებს თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და პროგრამებს მუზეუმის საქმიანობის ეფექტური განხორციელების მიზნით;

პ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს, მუზეუმის საქმიანობის შესახებ ანგარიშს წლის განმავლობაში ორჯერ (მიმდინარე წლის 10 ივლისამდე და მომდევნო წლის 10 იანვრამდე), აგრეთვე ყოველი საანგარიშო კვარტლის დასრულებიდან მომდევნო თვის 10 რიცხვამდე წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციას.

ჟ) ყოველი წლის ბოლოს ადგენს ანგარიშს მუზეუმის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ;

რ) ახორციელებს ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მართვას.

5. მუზეუმის კონტროლს ახორციელებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით.

6. საჭიროების შემთხვევებში შესაძლებელია მუნიციპალიტეტის მერმა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა შეამოწმოს მოწვეული აუდიტორის მეშვეობით

მუხლი 5. მუზეუმით სარგებლობა

1. მუზეუმში ექსპონირებული ნივთებისა და კოლექციების სანახავად დაიშვება ყველა მოქალაქე;

2. მუზეუმის ექსპოზიცია ღია უნდა იყოს ყველა კატეგორიის დამთვალიერებლისათვის სამუშაო საათებში;

3. მუზეუმის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეზღუდოს მუზეუმის ფონდში დაცულ ექსპონატებთან დაშვება მათი დაცულობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის, რესტავრაციის ან საცავებში (დეპოზიტარიუმებში) მოთავსების გამო;

მუხლი 6. მუზეუმის ქონება და ფინანსები

1.მუზეუმის ქონებას შეადგენს ძირითადი, საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობები, რომელიც ასახულია მის დამოუკიდებელ ბალანსში და საჭიროა ამ წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისთვის.

2.მუზეუმის დაფინანსების წყაროებია:

ა) შესაბამისი ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი სუბსიდიები;

ბ) გრანტები;

გ) შემოწირულობები;

დ) ფასიანი მომსახურებიდან (დამთვალიერებელის მიერ გადახდილი თანხები) მიღებული შემოსავალი;

ე) დამხმარე სახის სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული სხვა ქონებრივი და ფულადი სახსრები;

3. მიღებული სახსრები მუზეუმმა უნდა გამოიყენოს საწესდებო მიზნების მისაღწევად;

4. მუზეუმს შეუძლია მიღებული შემოსავლების საფუძველზე შექმნას სარეზერვო და სხვა დანიშნულების ფონდები;

5. მუზეუმის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს. ქონების გასხვისებას საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

მუხლი 7. მუზეუმის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით წესით, რაზედაც გადაწყვეტილებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

2. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს

უფლებამოსილ პირებს.

3. დამფუძნებელთა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი და წყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

4. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირსგან საზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

5. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

6. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებული ქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

7. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხსაგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 8. წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

1. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ.

2. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

2. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი **ზვიადი მხეიძე**

Zviadi Mkheidze

Digitally signed by Zviadi Mkheidze
Date: 2023.11.08 16:59:31 +04'00'